

## საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადება კონკურსის საშუალებით ავიაბილეთების შესყიდვის მიზნით ტურისტული სააგენტოების შერჩევაზე

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** საქართველოს ეროვნული ბანკი.

**შემსყიდველის მისამართი:** თბილისი, სანაპიროს 2.

**მომსახურების გაწევის ვადა:** 1 წელი ხელშეკრულების დადებიდან (ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია ვადის გაგრძელება).

**ანგარიშსწორება:** ტურისტულ კომპანიასთან ანგარიშსწორება განხორციელდება ბილეთის გამოწერიდან და შესაბამისი ინვოისის (მათ შორის ბილეთების დაჯავშნა, შესყიდვა, გადაცვლა და ა.შ შემთხვევებში) ეროვნულ ბანკში წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში.

**წლის განმავლობაში ავიაბილეთების შესყიდვის სავარაუდო რაოდენობა:** 250 ავიაბილეთი.

### აუცილებელი მოთხოვნები მონაწილეებისადმი:

კონკურსში მონაწილე უნდა იყოს იურიდიული პირის სტატუსის მქონე, მინიმუმ სამ წლიანი ანალოგიური სერვისის გაწევის გამოცდილებით და უნდა უზრუნველყოს შემდეგი მომსახურებების გაწევა:

- ავიაბილეთების დაჯავშნა, გაყიდვა, თარიღის ცვლილება, დაბრუნება და ა.შ.;
- სამუშაო საათებში (10:00-დან 19:00 საათამდე) ოფისში ავიაბილეთებზე უნდა მუშაობდეს მინიმუმ 3 ოპერატორი;
- მინიმუმ 1 ოპერატორი 24 საათიანი მომსახურებით;
- ინვოისების და ბილეთების საკურიერო მომსახურება;
- საჭიროების შემთხვევაში განხორციელოს საზღვარგარეთ სასტუმროების დაჯავშნა;
- ინვოისის გამოწერა გაშიფრული სახით, რათა თვალსაჩინო იყოს ბილეთის ფასში შემავალი ყველა კომპონენტის ღირებულება, მათ შორის ტურისტული სააგენტოს მომსახურების ღირებულება.

**შენიშვნა** - ბილეთის გადაჯავშნა, თარიღის ცვლილება ან დაბრუნება უნდა განხორციელდეს ტურისტული სააგენტოს ნულოვანი მომსახურების ღირებულებით.

### კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია/დოკუმენტები:

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. საერთაშორისო საჰაერო სატრანსპორტო ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი სერტიფიკატი (IATA certificate);
3. ხარისხის სერტიფიკატი (ISO ან ექვივალენტი), არსებობის შემთხვევაში;
4. კომპანიის შესახებ (კომპანიის სამუშაო საათები, ინფორმაცია თანამშრომელთა საერთო რაოდენობის და კონკრეტულად ავიაბილეთებზე მომუშავეთა რაოდენობის შესახებ, 24 საათიან რეჟიმში მომუშავეთა რაოდენობის შესახებ);
5. კომპანიის ანალოგიური საქმიანობის გამოცდილების შესახებ (წლებისა და კორპორატიული კლიენტების მითითებით);
6. ფინანსური ანგარიშების ასლები 2016-2018 წლებისათვის;
7. ინფორმაცია სხვა დამატებითი ბენეფიტების შესახებ, არსებობის შემთხვევაში;
8. ეროვნულ ვალუტაში კომპანიის მომსახურების საკომისიოს ოდენობაზე (იმ შემთხვევაში თუ ბილეთის კატეგორიიდან, მიმართულებიდან, ავიაკომპანიიდან გამომდინარე

საკომისიო განსხვავებულია, ამის შესახებ ტურისტულმა სააგენტომ უნდა წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია);

9. კორპორატიული კლიენტების მინიმუმ 3 სარეკომენდაციო წერილი.

**შენიშვნა** - საქართველოს ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას, უაპელაციოდ 30 დღით ადრე შესაბამისი შეტყობინების გაკეთებიდან ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

**საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე პირთა განცხადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:**

- ტურისტული სააგენტოს ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება;
- ფინანსური მაჩვენებლები;
- წამყვან ავიაკომპანიებთან ურთიერთობების გამოცდილება;
- კომპანიის სამუშაო საათები, თანამშრომელთა საერთო რაოდენობა და კონკრეტულად;
- ავიაბილეთებზე მომუშავეთა რაოდენობა, მათ შორის ეროვნულ ბანკზე მომარგებულების;
- სხვა დამატებითი ბენეფიტები;
- ხარისხის სერტიფიკატი (ISO ან ექვივალენტი).

**შენიშვნა** - კონკურსში გამოვლინდება რამდენიმე გამარჯვებული (ტურისტული სააგენტო), ვისთანაც საქართველოს ეროვნული ბანკი განახორციელებს ყოველი ინდივიდუალური ბილეთის შესაძენად ფასთა გამოკითხვის პროცედურას და საუკეთესო შემოთავაზების (ფასის) მქონე ავიაკომპანიისგან განახორციელებს კონკრეტული ბილეთის შეძენას.

ფასთა გამოკითხვის პროცედურის დროს შემოთავაზებულ ფასში სააგენტოს მომსახურების საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

**საკონკურსო ვადები:**

საკონკურსო განაცხადის (საკვალიფიკაციო მონაცემების და საკონკურსო წინადადებების) მიღება იწარმოებს **2019 წლის 15 მაისი 10:00 საათიდან 15:00 საათამდე**, თბილისი, სანაპიროს 2, სსიპ „საქართველოს ეროვნულ ბანკში“, განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქულ კონვერტში. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები არ მიიღება;

საკონკურსო განაცხადების გახსნის ვადაა 2019 წლის 15 მაისი 15:30 საათი;

კონკურსის შედეგების გამოცხადება მოხდება არაუგვიანეს 2019 წლის 14 ივნისი;

ხელშეკრულება გაფორმდება: კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

**დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:**

ნიკოლოზ ჩუხრუკიძე: ტელ: 2406 398; ელ.ფოსტა: nchukhrukidze@nbg.gov.ge